№ 80 1877—1899 № 80

სამშაბათი, 13 აპრილი, 1899 წ. სამშაბათი, 13 აპრილი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

**ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა**

დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის ალებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—ნ.—6)

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება ი. მაჩაბელის თარგმანები: გლეხი-კაცის ისტორია, **ერკმან-შატრიანისა:**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . | 75 ,, |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი . . . . | 60 ,, |
| იგივე კარგ ქაღალდზე . | 75 ,, |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი . . . . | 1 მ. 20 ,, |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 ,, |

ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ.

| | |
|---|---|
| პოლ-ერვიესი . . . . . | 30 ,, |

ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ.

| | |
|---|---|
| ჯიაკომეტისა . . . . . | 30 ,, |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება (6—უ—3)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ჩ. ი. ბაბანსიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი 6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.

ტელეფონი № 620. (30—ნ.—29)

## კბილის ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5 დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

**მთავრობის განკარგულებანი.**

—

დათხოვნილ იქმნენ: სამსახურიდგან ბათომის ოლქის ქვემო აჭარის პოლიციის მაიორი ტუფან-ბეკ-ჰაჯი-ასლან-ბეკ ოღლი-შარვაშიძე და ზირველი ქვეთა „სოტნის“ უფროსის თანაშემწე ზორუჩიკი ნიჟარაძე (დედიალა-ბასილ-ოღლი). ეს უკანასკნელი დათხოვნილ იქმნა თავისის თხოვნით.

## ახალი ამბავი

—

*** 8 აპრილს ტფილისში დაბრუნდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, უფროსი კავკასიის გრენადერთა დივიზიისა.

*** გაზეთების სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელს ივნისამდის ვერ მოუხდება ტფილისში ჩამოსვლაო.

*** გუშინ, 12 აპრილს, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრებამ მოისმინა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტის თხოვნა იმის შესახებ, რომ ამ სკოლას ეპატიოს 2700 მანეთი ვალი თავად-აზნაურობისა, რომელიც სკოლას მიეცა თავად-აზნაურთა სახლის შემოსავლიდგან და ამას გარდა მიეცეს სახლისავე შემოსავლიდგან 7300 მანეთი კიდევ, ე. ი. გამგე კომიტეტი სულ თხოულობდა 10,000 მანეთს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ უარჰყო ეს თხოვნა, მხოლოდ დაადგინა წინანდელი ვალი,—2700 მანეთი, არ გამოერთვას სკოლას. შემდეგ კრება შეუდგა იმ დამატებით წესების განხილვას, რო-

# ფელეტონი

—

### „დაუღალავთა“ ფრაზიორობა და შაბლონური ქადაგება.

დასასრული *)

აი კიდევ შაბლონის და ტრუიზმის ნიმუში: „საზოგადოებაში არსებობს დამოკიდებულება არა მარტო ადამიანთა შორის, ამბობთ თქვენ, არამედ მდიდარ და ღარიბ, დაჩაგრულ და დამჩაგვრელთა შორის“... ამათ შორის იმართება ბრძოლა. ვინც გაიმარჯვებს, ის „დგას ერის სათავეში და აწყობს ყოველივეს თანახმად თავის შეხედულობის და ინტერესებისა“... კვლავ ტრუიზმი! კვლავ შაბლონი! კვლავ მილიონჯერ თქმული ჭეშმარიტება!.. ვინ არ იცის, რომ საზოგადოებაში სხვა-და-სხვა ელემენტთა შორის ბრძოლა არსებობს? ვინ არ იცის, რომ ღარიბ-მდიდრების ცხვრები ერთად არა სძოვენ? ვინ არ იცის, რომ დაჩაგვრა და უსამართლობა წინააღმდეგობას იწვევს და „სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლას ჰმართავს? ვინ არ იცის, რომ ღარიბ-ღატაკთა სიცოცხლე „ჯოჯოხეთია“. და ბოლოს რომელი კაცური-კაცი არ თანაუგრძნობს იმათ და შეძლების დაგვარად არ ემსახურება მათის ბედის გაუმჯობესებას, რასაკვირველია, სხვადა-სხვა ღონითა და საშუალებით. ნურას უკაცრავად, ბ-ნო ჟორდანიავ, თუ ასეთ თქვენ გაცვეთილ აზრებს „შაბლონური“ აზრები ვუწოდოთ, ათასჯერ გადაღეჭილად ჩავთვალოთ! თუ-კი ინებებთ და დაამტკიცებთ, რომ ეს აზრები პირველად თქვენის ჭკუის კოლოფიდგან ამოკრეფილია, მაშინ მუხლს მოვიყრი თქვენს წინაშე და გიგალობებთ, როგორც გენიოსს. მაგრამ ვაი თუ ვერ დაამტკიცოთ და ჩემ შეხედულობაში ისეთივე „შუათანა“ განათლებულ კაცად დარჩეთ, როგორადაც მე გთვლიდით წინადაც?!.

„...მიმართულების მხრივ, ამბობთ თქვენ, საზოგადო მოღვაწენი შეიძლება ორ დიდ ბანაკად გავყოთ: ერთს შეიცავენ ისინი, რომელნიც ახალ მოქალაქობრივ ცხოვრებას ებრძვიან და ძველ ცხოვრებას დამაგრებას მეცადინეობენ; მეორეს-კი ისინი, რომელნიც ახალ ცხოვრებას მხარს უჭერენ და ძველისაგან განთავისუფლებას მეცადინეობენ. პირველის სატრფიალო საგანია წოდებრივი და ფეოდალურ-სოფლური ურთიერთობა; მეორეს-კი მოქალაქური განწყობილება... პირველის მოღვაწეობა არის მოღვაწეობა ფეოდალური, მეორეს-კი მოქალაქობრივი“... რაო, „დაუღალავო“ მოღვაწევ, ეს ახალი ტრუიზმი არ არის? ამავე აზრს არ წააწყდებით ყოველს წერილსა და გამოკვლევაში, სადაც-კი ეკონომიასა და სოციოლოგიაზეა ლაპარაკი? ესევე აზრი უფრო მკაფიოდ და მოსხლეტილად გამოთქმული არ არის უბრალო პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოებშიაც? შორს რად მივდივართ! ასეთივე აზრი მესამოცე წლებიდგან დაწყებული დღემდე ათასჯერ და ათი ათასჯერ არ გამოთქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებშიაც?.. გადაღეჭილის გადაღეჭვაა, მა რა ჯანაბაა! კვლავ უკაცრავად, ბ-ნო ჟორდანიავ, რომ თქვენ ასეთ ტრუიზმ-შაბლონების გადამღეჭელი, პირველხარისხოვან პუბლიცისტად არ ჩავთვალეთ!

განაგრძობთ: „...მოქალაქობრივი მოღვაწეობა განიყოფება თავის მხრივ რამდენსამე ჯგუფად... ამ ჯგუფთა შორის არსებობს ბრძოლა... ებრძვიან ერთმანეთს მრეწველი, ვაჭარი, ხელოსანი, ლაქია, მუშა... ზოგი ამათგანი ბატონობს, ზოგი მორჩილობს, მაგრამ დაჩაგრულთა ნაწილი უმრავლესობას შეადგენს... ბრძოლაში დღეს ის იმარჯვებს, ვინც უფრო შეგნებული და გონება-განვითარებულია. ამიტომ არის რომ დღეს ყველა სწავლა ცოდნას ეტანება... არსებობისათვის ბრძოლაში ის სწავლაა ხელ-საყრელი, რომელიც მებრძოლთ შეაგნებინებს თავის ინტერესებს, თავის მდგომარეობას“.

დღეს ყველა ცოდნას ეტანება, დღეს ბრძოლაში შეგნებული იმარჯვებს!.. ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა? ეს ხომ უბრალო დალაქმაც იცის? სასიხარულოდ, ქართველი საზოგადოება არც ისე დაქვეითებული და გონება-დაბნელებულია, რომ ასეთს ანბანს ჰსაჭიროებდეს! მგონი გოტენტოტურ საზოგადოებისათვისაც არ იქნება თქვენი აზრი ახალი და გაუგონელი. მაშ რადა ჰღეჭავთ, ბ-ნო ჟორდანია, ისეთს აზრს, რომელიც ბავშვმაც იცის, და რად გააჭრელებთ ხოლმე თქვენ პროგრესიულ გაზეთის ფურცლებს ტრუიზმებით? აკი ამისთვის გიკიჟინეთ, რომ თქვენი წერილები შაბლონური ქადაგებაა, ათასჯერ გადაღეჭილ აზრებისა-თქო! გეწყინათ? განრისხდით მართლის თქმისათვის? არ გეამათ თქვენი ასეთი დახასიათება? „მეტი სინათლე, სინათლე!“-ო, თქვენ არ გაიძახოდით? და აი ამ სინათლის პატარა შუშუქებამ დაგვანახვა სიმჩლე-უსუსურობა თქვენის აზროვნობისა!

და თუ თქვენ „დღეს თვისი უბრალო არსებობით მაღლიდგან დაჰყურებთ“ წვრილ-ფეხა მარქსისტებს, ეს იმიტომ (ვიტყვით თქვენივე სიტყვებით), რომ ისინი დაჩოქილი არიან და დაჩოქილ გმირთან ბავშვიც დიდად მოგეჩვენებაო?!.

მაგრამ ნუ თუ არაფერი საყურადღებო და ახალი ვერ სთქვა „დაუღალავმა“ მოღვაწემ თავის ორს მოზრდილს წერილში? ნუ თუ არ ეტყობა ამ წერილებს ხელი ნიჭიერის, ევროპიულად განათლებულის და მეცნიერის პუბლიცისტისა? შეიძლება დამეკითხოთ, პატივცემულო მკითხველო.

ჩვენის აზრით ამ წერილებში ტრუიზმების მეტს ვერაფერს ჰნახავთ; ჩვენის აზრით, ავტორი ამ წერილებისა ზეგარდმო ნიჭით ცხებული არ არის. მართალია, ფრაზ-ტერმინებით გუნდაობა-რახარუხი ეხერხება, მაგრამ ფრაზებით მწერალი ფონს ვერ გავა და ცოტათი მაინც შეგნებულ მკითხველს ვერ მოატყუებს.

ნამდვილი ნიჭის პატრონი მწერალი არა სცდილობს ფრაზებს შეახტეს და მით ფონს გავიდეს. ის სწერს წმინდად, ნათლად, მოკლედ, უბრალოდ, გასაგებად და არა ორ აზროვნად. მას არ შეამჩნევთ თავისის თავის ძალდატანებას: ის თავს არ იმტვრევს ისეთი რამ ამოიწეროს იქიდგან, რაც შიგ არ არის. მარტივად წერა აზროვნობა ნიშანია არა თუ ჭეშმარიტებისა, არამედ ძლიერის ნი-

*) იხ. „ივერია“ № 79.

მელიც შედგენილ იქმნა თავ. ი. გ. ამილახვრის მეცადინეობით ამიერ-კავკასიაში გამიჯვნის საქმის დასაჩქარებლად, მაგრამ ცოტაოდენის კამათის შემდეგ გადასდო დღეისათვის ამ საქმის განხილვა და გარდაწყვეტა. დღეს კრება დაიწყება დილის 10 საათზედ.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ კვირას, 11 აპრილს, სხდომაზედ განიხილა თავად-აზნაურთა მამულების გამგეთა და ელექტრონის სადგურის მოიჯარადრე აივაზოვის შორის მომხდარ უთანხმოების საქმე. ინჟენერი აივაზოვი ითხოულობდა ზარალი მომივიდა თეატრის განათების გამო, რადგანაც გასანათებლად ნავთის მაგიერ შეშასა ვხმარობდი და გთხოვთ ზარალი მიზღოთო. თავად-აზნაურთა კრებამ აივაზოვის თხოვნა არ შეიწყნარა, ვინაიდგან იგი უსაბუთოდ იცნო.

*** კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა დაიწყო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ქალაქს ყარსში სახელმწიფო ხარჯით დაარსებულ იქმნეს ვაჟთათვის პროგიმნაზიაო. („ტფ. ფ.“)

*** გაზეთ „კავკასის“ სიტყვით, ამ დღეებში სამსახურის საქმეებისა გამო ეჩმიაძინიდგან ტფილისში ჩამოვა სომეხთა სინოდის ობერ-პროკურორი ბ-ნი ყანჩელი.

*** 10 აპრილს, როგორც უკვე გამოცხადებულიცა გვქონდა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მეფუტკრეთა საუბარი გაიმართა. დაესწრო 15 კაცი. დამსწრეთ, სხვათა შორის, გადასწყვიტეს დააარსონ ამხანაგობა, რომლის პაიც ეღირება 10 მანეთი. ყველანი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ და ამ საღამოთივე გაიყიდა 70 პაი. გარდა ამისა, კრებამ გადასწყვიტა ხალხში მეფუტკრეობის გასავრცელებლად რაჭის მაზრის შორის ველში გაჰმართოს საფუტკრე და დასდგას ორასამდე სკა.

*** 9 აპრილს, ავლაბარში, იმ ადგილას, სადაც ბრმათათვის სასწავლებელი უნდა აიგონ, პარაკლისი იქმნა გარდახდილი დასახელებულ შენობის საძირკვლის ჩაყრისა გამო. პარაკლისს მრავალი საპატიო პირი დაესწრო. გალობდა ბრმათაგან შემდგარი ხორო.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიასა, ყირიმსა და ბესარაბიაში სავალდებულო გაჰხადონ ვენახების დაზღვევა.

*** როგორც გაზეთი „ახ. მიმ.“ იუწყება, გზათა სამინისტროს აზრადა აქვს თურმე შესცვალოს კავკასიაში აწ არსებული საგზაოგარდასახადი.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს უკვე დაუმტკიცებია სოხუმის საქალაქო არჩევანები.

*** გაზეთ „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ტაინი სოვეტნიკი მიცკევიჩი დანიშნულ იქმნა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად, ხოლო ვიცე-დირექტორი ამავე კანცელარიისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სადრიგაილო დირექტორადაო.

*** ახლო მომავალში მატარებლები მიმოსვლას დაიწყებენ ჭიათურიდგან დარკვეთამდის. მგზავრებს გარდასახადი გამოერთმევათ ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგზედ არსებულ ტარიფის მიხედვით.

*** გაზეთ „ახ. ლ. მიმოხ.“-ს სიტყვით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს სურამში, კერძო კაცების მამულში, გაუშენებია ხუთი სანერგე ამერიკულის ვაზის მოსაშენებლად.

*** ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას განუხილავს ბათომში დასაარსებელ სამუსიკო „კრუჟოკის“ პროექტი და დასამტკიცებლად კავკასიის უმაღლესის მთავრობისათვის წარუდგენია.

*** სოფ. ხიდიუუსამთა, (კავკავის მაზრა). ამ სოფელში მუცლის ხურვება არის გავრცელებული და დიდს ზარალსაც აძლევს მცხოვრებთ.

*** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის განკარგულებით, დღესასწაულების მოახლოვებისა გამო, ამ უკანასკნელ კვირას, საბჭოს ექიმები გამდალინი და გონიევი კალდებულნი არიან გასინჯონ ხოლმე დღეში ორჯელ ის სანოვაგე, რომელიც იარმუკასა და თათრის მეიდანზედ იყიდება.

*** გუშინ, 12 აპრილს, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ მომავალ დღესასწაულებისათვის დაჯილდოებულ იქმნენ ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილში მოსამსახურენი.

*** რადგანაც ტფილისში ამ ბოლოს დროს ყვავილი მოისპო, იმ ფარდულში, სადაც ყვავილით ავადმყოფთ აწვენდნენ, ამიერიდგან სახადით ავადმყოფებს დააწვენენ. 6 მარტიდგან დღემდე სახადით ავად გახდარა სულ 50 კაცი, აქედგან გარდაცვლილა—7.

*** 13 აპრილს, რუსეთის წყლეთზე ნავოსნობის გახსნისათანავე, გაიგზავნა პირველი პარტია გაციმბირებულთა. ამ პარტიაში 60 კაცი იყო.

*** ამიერ კავკასიაში საქციზო გარდასახადთა გამგეს მიმდინარე წლის 24 თებერვალს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზე დაარსებულ ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოში წარუდგენია ამ სამზრუნველოს სასარგებლოთ შეკრებილი 1340 მ. და 39 კაპ. ეს ფულები მოუგროვებიათ საქციზო უწყების მოხელეთ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში. დასახელებული სამზრუნველო უგულითადესს მადლობას უძღვნის როგორც საქციზო გარდასახადთა გამგეს, ისე ყველა იმათ, ვინც-კი რაიმე მონაწილეობა მიიღო ამ ფულის შეკრებაში.

*** 9 აპრილს, შუადღისას ტფილისის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებიდგან გაიქცა ტუსაღი ყურბან-ახმედ-ოღლი, რომელიც შესამოწმებლად იყო გაგზავნილი ამ საავადმყოფოში.

# რუსეთი

დიდი ხანია მთავრობას აზრათა ჰქონდა პეტერბურგისა და ხარკოვის სატეხნოლოგო ინსტიტუტები პოლიტეხნიკუმებათ გადაეკეთებინა. ამ პოლიტეხნიკუმებთან დაარსებულ უნდა ყოფილიყო აგრეთვე საგრონომიო განყოფილებანიც. ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობას უკვე გადაუწყვეტია ეს საკითხავი და დასახელებულ ინსტიტუტებს მომავალ წელს გადააკეთებს პოლიტეხნიკუმებად.

— გაზეთ „Врачъ“-ში დაბეჭდილია 19 ექიმისაგან ხელ მოწერილი შემდეგი წერილი:

„მ. ხ! უმორჩილესადა გთხოვთ შეატყობინოთ პატივცემულ საზოგადოებას ის მიზეზები, რის გამოც ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი, იძულებულნი შევიქენით თავი დაგვენებებინა კიევის „წითელი ჯვარის“ უფასო სამკურნალოში მუშაობასა და ავათმყოფების გასინჯვისათვის. საზოგადოთ „წითელი ჯვარის“ ყველა საავათმყოფოებში, წესდების ძალით, თითოეულ ავათმყოფს მკურნალი უსასყიდლოთა სინჯავს ხოლმე და უსასყიდლოთვე ეძლევა საჭირო წამალიც. ამისდა მიუხედავათ კიევის უფასო საავათმყოფოში ამ ბოლოს დროს შემოიღეს საძაგელი ჩვეულება: რაღაც მანქანებით წამლებს მარტო ქრისტიან ავათმყოფებს აძლევდნენ და ებრაელებს კი უარს ეუბნებოდნენ. ჩვენ, ექიმებმა, ადრევე შევნიშნეთ, რომ ეს უკანონობა იყო და ამიტომ სათითაოდ ვსთხოვდით ხოლმე, რომ ებრაელთათვისაც არ დაეჭირათ წამალი. ერთხანს ჩვენ თხოვნას გასავალი ჰქონდა, მაგრამ ამ უკანასკნელ წელიწადში ჩვენმა თხოვნამაც ვეღარ გასჭრა. ამიტომ, ჩვენ აქ მოსამსახურე ექიმებმა კრება მოვახდინეთ და ხმის უმეტესობით დავადგინეთ საერთო განცხადება მივართვათ მთავრობას, რომ ასეთი უწესოება მოისპოს, ვინაიდგან წამლის გაცემა ეროვნების შესახებ უკანონობა და ურიგობააო. მაგრამ ჩვენი საერთო თხოვნაც უარყოფილ იქმნა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, იძულებული შევიქენით დასახელებულ საავადმყოფოში მუშაობაზე ხელი აგვეღოთო“.

# უცხოეთი

**ავსტრია.** ჩეხიის სეიმში სხვა-სხვა ჩამოვარდა დაბლარსკი არჩევანების წესრიგის შეცვლის შესახებ. უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში მთელ ავსტრიის საზოგადოების ყურადღებას იპყრობს ეს საგანი, მაგრამ მხოლოდ სამხრეთ ავსტრიის სეიმი ეღირსა მის გარდაწყვეტას თავისის სურვილის თანახმად. აი როგორ არის საქმე:

ძველადველ კანონის ძალით, ყველა მოქალაქეს, რომელიც წელიწადში იხდის 4 გულდენს, ნება ეძლევა სეიმის არჩევანებში მონაწილეობა მიიღოს და ხმა მისცეს ამა თუ იმ კანდიდატს; სოფლების უფლება-კი უფრო შეზღუდულია: 500 სოფლელს შეუძლია ერთი კაცი აირჩიოს, რომელიც, თავისის მრწმუნებელთა სახელით, ხმას აძლევს რომელსამე კანდიდატს. რაღა თქმა უნდა, რწმუნებული მხოლოდ წარმომადგენელია სხვების, ნამდვილად-კი თავისის სურვილის კვალობაზედ იქცევა და მისი საქციელი არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთის კანონის წყალობით ბევრი სოფელი მოკლებულია საშუალებას თავისი წარმომადგენელი იყოლიოს კრებაზედ, რადგან ისეთი სოფლება, სა-

ქისაც. ამის ცოცხალი მაგალითია ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი.

„Ничего такъ не долженъ остерегаться писатель, ამბობს შოპენჰაუერი, какъ слишкомъ явнаго намѣренія показать больше ума и духа, чѣмъ имѣешь; и бо это возбуждаетъ въ читателѣ подозрѣніе, что его должно быть не Богъ вѣстъ сколько, если авторъ постоянно и на всякій манеръ афектируетъ то, чего унего нѣтъ въ дѣйствительности!!...(იხ. объ авторствѣ и слогѣ, გვ. 82)

ვურჩევთ ბატონ ნოე ჟორდანიას კარგად დაიხსომოს ეს სიტყვები ფილოსოფოსისა... ვურჩევთ აგრეთვე ყურადღება მიაქციოს მან ქვემორე ამისა მოყვანილს სიტყვებს და იქნება თავისი პუბლიცისტური სურათი დაინახოს:

„Въ основаніи всѣхъ ученыхъ потугъ лежитъ ничто иное, какъ неустанное,разными путями вѣчно возобновляемое стремленіе выдавать слова за мысль и, посредствомъ новыхъ, или въ томъ смыслѣ употребляемыхъ выраженій, оборотовъ и всяческихъ сопоставленій, вызвать признакъ ума и духа, чтобы возмѣстить столь горько чувствуемый недостатокъ этихъ послѣднихъ. Забавно видѣть, какъ для этой цѣли пробуется то та, то эта монера, чтобы выставить ее за изображающую умъ маску, что на нѣкоторое время и обманываетъ неопытныхъ.Затѣмъ она распознается, какъ мертвая маска, предается на посмѣяніе“... (იქვე, გვ. 81)

ხომ იცანით თავი თქვენი ბ-ნო ჟორდანიავ, ამ ხელოვნურად დახატულ „ლიტერატორ ჯამბაზ-თვალთმაქცის“ სურათში! პრანჭვა-გრეხვა ქარი რეკია „ბარიშნებისაც“-კი გასაკიცხ-დასაძრახისია, მით უმეტეს გასაკიცხია ეს თვისება ისეთ მწერალის, რომელიც „დაუღალავ“ მოღვაწედ სთვლის თავისს თავს.

მაგრამ ორიოდე სიტყვა „დაღლილ“ და „დაუღლელ“ მოღვაწეების შესახებ. ბ-ნი ჟორდანია თავისს წერილში „საზოგადო მოღვაწეობა“ სხვათა შორის მიწასთან ასწორებს ჩვენს სასიქადულო მოღვაწეებს და „სულთათანა აღსრულებულთას“ რიხიანიდ ხმით უგალობებს. ამოვწეროთ მისი სიტყვები: „მეორე ჯგუფს შეადგენენ ეგრედ წოდებულნი „დაღალულნი“. ჩვენ ვიშრომეთ, ქვეყანას მხარში ვუდექით, ახლა კი დავიღალეთ და დასვენება გვეჭირვებაო—ამბობენ ისინი. „დაღალულნი“ მოცილდნენ საზოგადო მოღვაწეობას და ამ სიბერის დროს თავის თავის საქმეებს შეუდგნენ. მაგრამ ზოგს მათგანს ეს ერცხვინება, „საქვეყნო საქმის“ დატოვება ეთაკილება და ამიტომ თავის კერძო საქმე საზოგადო საქმედ გამოაქვს: აი მე კიდევ თქვენ გემსახურებითო და საზოგადოებას ეს სჯერა, სჯერა იმიტომ, რომ „დაღალულნი“ დიდადებენ, და ესენი, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ძველი დავიწყების პროცენტებს დებულობენ. მარა რამდენიც უნდა გვაჯერონ, რამდენიც უნდა ვიჯეროთ, ბოლოს მაინც აშკარა იქმნება, რომ საზოგადო სარბიელი „დაღალულთაგან“ კაი ხანია დაცლილია... ამ „დაღლილებს“ უნდა გამოვემშვიდობოთ“.

რა მარტო „დაღლილები“! საზოგადო საქმეს ყველა გაურბის. „საზოგადო ასპარეზი დაცლილია, დაცალიერებულია, მისი ყველა კარები ღიაა და ადრე თუ გვიან იქ უნდა შევიდნენ“. მერე ვინ უნდა შევიდეს, ვის უნდა დაუცალონ გზა ვითომდა „დაღლილებმა“? ბ-ნ ჟორდანიას შემდეგ წერილიდგან (მეორე) სჩანს, რომ პირველი მერცხალი, რომელიც უნდა შეფრინდეს ამ დაცარიელებულ ასპარეზზედ და გაზაფხული გვახაროს, თვითონ მისი აღმატებულებაა; მას აედევნებიან „ГУСЬКОМЪ“ მისი მოტრფიალენი და ჯეროვან ადგილს დაიჭერენ ამ ასპარეზზედ. მაგრამ სურათი ჩვენ განვაგრძოთ, დავხატოთ ეს „დაუღალავთა“ მოქმედების ნაყოფი: აი, თვით ბ-ნი ჟორდანია მივარდა „საზოგადო საქმესთან“ და მოებღაუჭა მის ერთ შტოს, რომელსაც „პუბლიცისტიკა“ აწერია—ეს წინად, ვთქვით, ნიკოლაძის ხელობა იყო, მაგრამ როგორც „დაღლილმა“ (ჟორდანიას ტეორიით) ეხლა თავი მიანება... აი გოკოლაძე, თომაშვილი აკაკისაგან დაცლილ ადგილს დაეპატრონნენ. აი ქუთათური დევ-გმირი კალისტრატე ჩიკვაიძე (ჟორდანიასაგან ნაქები) ქშენით მორბის და ილიასაგან დატოვებულ ბანკს გულში იხუტებს... ამათ მოსდევენ მახარაძეები, გომართელები, „სი—ძეები“ და კიდევ სხვანი მრავალნი, ევროპიულად განათლებულნი „დაუღალავნი“ მოღვაწენი, და ხან ერთს დარგს „საზოგადო საქმისას“ ებღაუჭებიან, ხან მეორეს. აი გამოჩნდა ახოვანი ფიგურა ჩაფიქრებული, შუბლ შეჭმუხვნილი. ის ნელის, აუჩქარებელის ნაბიჯით მოდის და აქეთ-იქით იყურება, თითქოს სარდალი თავის ჯარს ათვალიერებსო. მერე გაჩერდება ერთს ადგილს, გარს შემოიკრებს, როგორც კრუხი წიწილებს, ახალს მოღვაწეებს და შემდეგ სიტყვებს ეუბნება: „მე აღმოგაჩინეთ თქვენ და მევე მოგნათლეთ „მესამე დასელების“ სახელით. მევე დაგიყენეთ მეთაურად ნ. ჟორდანია, რომელმაც, როგორც ჰხედავთ, ერთის კალმის მოსმით მთლად გარეკა საზოგადო ასპარეზიდგან მოღვაწენი და თქვენ, როგორც უფრო ნიჭიერებს და მომზადებულებს, ფრთების გასაშლელი და სამოღვაწეო ადგილი მოგიმზადათ. იშრომეთ, შვილებო, და არ შემარცხვინოთ“. ორატორი ათავებს თავისს დარიგებას და „საზოგადო ასპარეზიდგან“ აჩქარებით გამოდის. ეს ვიღა არის? „კვალისტების“ უსტაბაში გიორგი წერეთელი გახლავთ.

ოსტატის სიტყვებით გამხნევებულ-წაქეზებული ახალი „დაუღალავი“ მოღვაწენი ჩამოკოწიალდნენ „საზოგადო საქმის“ სხვა-და-სხვა შტოებზედ, დაჰკრეს წრიპინ-კივილი, „О еще“-ს ვოლგის მუშების ტერმინია) ჩახლეწილის ხმით გაიძახიან, მაგრამ დახეთ უბედურებას? საზოგადო საქმე არ იძვრის! „დაუღლელი“ მოღვაწენი აორკეცებენ ძალ-ღონეს, კივილ-ჩხავილს უმატებენ, მაგრამ არა ეშველა რა: საზოგადო საქმე კვლავ არ იძვრის, თითქოს გაქვავებულაო. საცოდავი სანახავნი არიან საბრალო მოღვაწეები: ოფლში გაწურულან, თვალები ბუდეებიდგან ამოვარდნას უპირებთ, მთლად პირისახე დაჰბერიათ და დაჰლურჯებიათ... კვლავ კივილ-წივილი, კვლავ „О еще“-ს ძახილი!

და 500 კაცი სცხოვრობდეს, ზევრი არ არის; ჩეხიაში, მაგალითად, ასეთი სოფელი მხოლოდ 44% შეადგენს. მართალია, ასეთ პატარა სოფლებს უფლება ეძლევათ შეერთდნენ და ერთი წარმომადგენელი იყოლიონ საარჩევნო კრებებზედ, მაგრამ ეს მოუხერხებელია, განსაკუთრებით ზამთრობით, როცა გახურებული მუშაობაა სოფლებში. 1897 წელს ჩეხიის სეიმმა შეიმუშავა კანონ პროექტი, რომლითაც ნება უნდა მისცემოდა დეპუტატის ყოლისა 250 კაცს, 500 ნაცვლად, მაგრამ ეს პროექტი იმპერატორმა არ დაამტკიცა. ჩეხიის სეიმმა მოიწადინა ეხლა ხელმეორედ წარუდგინოს იმპერატორს დასამტკიცებლად იგი კანონ-პროექტი. სეიმს ამასთანავე აზრად აქვს მიუთითოს იმპერატორს სამხრეთ-ავსტრიის მაგალითზე, სადაც კანონად დადო, 250 კაცმა თავისი რწმუნებული იყოლიოს კრებებზედ, და ეს კანონი ძლიერ კარგი გამოდგა, ასე რომ არავითარი დაბრკოლება არ მოუხდენია არჩევანების დროს. ჩეხებს დიდი იმედი აქვთ, რომ მათი სეიმის პროექტი კანონმდებლობითი ძალას მიიღებს ეხლა და თითოეულს სოფელს ნება ექმნება თავისი დეპუტატი იყოლიოს არჩევანებზე.

—

**დანია**. გაზეთების სიტყვით, დანიის მეფეს ნება დაურთავს ტახტის მემკვიდრის მეორე შვილის პრინც კარლოსისათვის ინგლისის ფლოტზედ შევიდეს სამსახურში, რაიცა დიდი ხანია სურდათ პრინცის მეუღლეს და მათ მშობლებს—უელსის პრინცს და პრინცესას. მეფის შვილის უფროსს შვილს, პრინც ქრისტიანეს, მემკვიდრე რომ არ ჰყავდეს, ადვილი შესაძლებელია, თავისის ძმის შემდეგ იგი ყოფილიყოს ტახტის მემკვიდრე, მაგრამ ეს დაბრკოლება რადგან არ არსებობს ეხლა, მეფემაც აღარ შეუშალა მას ხელი.

—

**კრიტი**. დიდ სახელმწიფოთა ნებადართვით, კრიტის გენერალ-გუბერნატორმა, ბატონიშვილმა გიორგიმ, 1,200,000 ფრანკი გადასდო სოფლებისათვის სასესხებლად შინაურ საქონლის და თესლეულობის სასყიდლად, მაგრამ ისე-კი, რომ მსესხებლებს სესხის სარგებელი არ გამოერთმევათ. ეს ვალი უნდა გარდაიხადონ სოფლელებმა 12 წლის განმავლობაში. მთავრობას აზრად აქვს უფასოდ მისცეს კრიტის მორჩილ სოფლების მაჭმადიანთ ხე-ტყე დანგრეულ სახლების განსაახლებლად, მაგრამ ფულებით დახმარება-კი არ შეუძლიან ამ საქმეში. ამიტომ მაჭმადიანები უარზედ არიან კანდიიდგან გადასახლდნენ თავიანთ სამშობლო სოფლებში, რის გამოც, თავის მხრივ, არეულობის დროს კანდიიდგან გაქცეული ქრისტიანები ვერ უბრუნდებიან თავიანთ სახლკარს ქალაქში.

დიდ სახელმწიფოების მხედრობათა რიცხვი თანდათან კლებულობს კუნძულზედ, რადგან ბევრნი იმათგან თავიანთ მთავრობის ბრძანებით უკანვე ბრუნდებიან. როგორც სარწმუნოდ იუწყებიან, ბატონიშვილ გიორგის აზრად ჰქონია, კრიტის უზენაეს მმართველის ოსმალეთის ხონთქრის აბდულ-ჰამიდის სანახავად წავიდეს კონსტანტინეპოლში.

—

**რუმინია**. როგორც გაზეთები იუწყებიან, კონსერვატიულის დასისა და იუნიმისტების წრის მოთავეებისათვის, კანტაკუზენის და კარპისათვის, მიუნდვია მეფეს ახალი კაბინეტის შედგენა და ამ ორ პოლიტიკურ დასის გაერთიანება. აქამდისინ ხსენებულ ორ პოლიტიკურ მოდავეს განხეთქილება ჰქონდათ ერთმანეთ შორის, რადგან როგორც კარპს, ისე კანტაკუზენს დიდი სურვილი ჰქონდათ, კატარჯის ადგილი დაეჭირათ, ე. ი. მთელი კონსერვატიულ დასის ხელმძღვანელი ყოფილიყვნენ და აგრეთვე სამინისტროს უფროსნი.

## დამაკვირდა

მუხთალია ეს სოფელი,
კაცი ვერსით მოურჩების.

როსტომიანი

* * *

სვინიდისით ვჭამდი პურს და ხმაც სირინოზისა მქონდა, სვინიდისს ვუღალატე და ხმაც უკრუტისა შემქნა.

ლასურიძე

* * *

სიმდაბლე მსგავს არს ვაზსა დახრილსა და აღსავსესა ნაყოფითა კეთილითა.

სულხან საბა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს მთელის ინგლისის და განსაკუთრებით ლონდონის საზოგადოების ყურადღება მიიქცია მუშა-ბავშვთა მდგომარეობამ. დღეს ლონდონში, მაგალითად, მრავალია ისეთი ბავშვი, რომელიც მხოლოდ თავისის ოფლითა და შრომით ირჩენს თავს. ის ღარიბი ბავშვები-კი, რომელნიც სკოლებში დადიან, არ არიან თავისუფალნი შრომისაგან. ლონდონის ყველა პირველ-დაწყებით სკოლების საქმეებს განსაკუთრებული გამგე კომიტეტი განაგებს. ამას წინად გამგე კომიტეტს შეუკრებია ცნობები ლონდონის 112 სკოლაში მოსწავლე ღარიბ ბავშვთა მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 2,157 მოსწავლე-ბავშვთაგან 1,143 ბავშვი კვირაში სკოლის გარედ 19-დგან—29 საათამდე მუშაობდა; 729 ბავშვი—30—39 საათამდე, 285—40 საათსა და მეტს; 719 მოსწავლე-ბავშვი რძესა და გაზეთებს ჰყიდდა; 1056—ქარხნებსა და მაღაზიებში მსახურებდა. ერთს სკოლაში აღმოჩნდა: ორი ბავშვი რძის დამტარებელი, რომელნიც კვირაში 57 საათს მუშაობდნენ, 2 გაზეთების დამტარებელი, რომელნიც 63 საათს მუშაობდნენ. მეორე სკოლაში აღმოჩნდა 8 წლის ბავშვი, რომელიც მეკუბოვესა ჰშველოდა და კვირაში 40 კაპეიკ იღებდა.

* * *

ლონდონის ყველა უბანში არსებობს განსაკუთრებული პოლიტიკური კლუბები, რომელნიც ნამდვილ პარლამენტისაგან ბევრით არაფრით განირჩევიან. ასეთის კერძო პარლამენტის წევრები იკრიბებიან დანიშნულს დღეს,—კვირაში ერთხელ; სჯა-ბაასი საპოლიტიკო, საეკონომო და სოციალურ საგნების შესახება აქვთ. კერძო პარლამენტის დარბაზი საზოგადოებათა პალატის დარბაზის მაგვარად არის მოწყობილი. კრებებს მუდამ აურაცხელი ხალხი ესწრება. ადგილობრივ გაზეთებში (ლონდონის ყველა უბანს თავისი საკუთარი გაზეთი აქვს) ყოველთვის იბეჭდება ანგარიში ამ კერძო პარლამენტების სხდომებისა. ინგლისელებისათვის ასეთ კლუბებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ კლუბებში ემზადება ყველა საპოლიტიკო მოღვაწეობისათვის. რადგანაც ამ კლუბების საქმეებში მრავალი ხალხი იღებს მონაწილეობას, სხვაფრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს: აქ აღძრული და გარდაწყვეტილი საქმე უეჭველად ინგლისის პარლამენტში გადადის და იქ კანონიერი მსვლელობა ეძლევა.

* * *

ბევრი ქალაქის თვით მმართველობა არა ჰზრუნავს იმდენს ქალაქის მკვიდრთათვის, რამდენსაც ამერიკას ქალაქ ბოსტონის თვითმმართველობა. მოწყობილებას და სისუფთავეს რომ თავი გავანებოთ, მარტო სწავლა-განათლების საქმეს ამ ქალაქის თვით-მმართველობა აურაცხელ ფულს ანდომებს. ბოსტონში უკვე ორი უნივერსიტეტი არსებობს, მრავალი საშუალო სასწავლებელი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და 603 პირველ-დაწყებითი სკოლა. თითქმის ყოველ კვირა ქალაქის თვით-მმართველობა საჯარო კითხვებს-ლექციებსა ჰმართავს. ლექციების წასაკითხად ხშირად გამოჩენილ მწერლებსა და მეცნიერებს იწვევს. ლექციები ღარიბებს უსასყიდლოდ შეუძლიანთ მოისმინონ, ხოლო დანარჩენთ სულ მცირე სასყიდელი ერთმევათ. მაგრამ ყველაზედ საყურადღებო ლონდონში საჯარო წიგნთ-საცავია. ამ წიგნთ-საცავის მარტო შენობა 12 მილიონი ფრანკი დაჯდა. წიგნთ-საცავის შენახვა წელიწადში თორმეტი მილიონი ფრანკი ჯდება. 12 განყოფილება და 17 სადგური აქვს წიგნთ-საცავს. სადგურებიდგან მხოლოდ წიგნების გატანა შეიძლება წასაკითხავად.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ბდ)

შვენიერის მსედრულით ნაწერი წიგნი (№ 404) in ib⁰, გვ. 252, თავი აკლია), რომელშიაც შემდეგი წერილებია:

ა. სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისანი, თარგმნილი წმიდისა მამისა ეფთვიმის მიერ (გვ. 5—96).

ბ. შვიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი და მათნი მომკვლელნი და სულისა განმანათლებელნი სათნოებანი, აღწერილი სულხან საბა ორბელიანის ძმის ტფილელის ნიკოლოოზის მიერ (96—156).

გ. სათნოებათათვის ხორციელთა და სულიერთა (157—252).

წიგნში მრავალი სწავლაა ზნეობრივი და დარიგება. მაქსიმე აღმსარებელი მეტად საყვარელი მწერალია. იგი ტომით ბერძენი იყო და ხატთა მბრძოლ იმპერატორებმა კონსტანტინე და ლეონ ისავრომ შეიპყრეს და საქართველოში წარმოგზავნეს. მაქსიმე ორის მოწაფით კარგა ხანს დაშთა სვანეთში, მერე იყო მურში, თაკვერში და აფხაზეთს (იხ. სვინაქსარი № 222 და სხ.) ამ მაქსიმეს ნაწერები ბევრი შენახულა.

ამ წიგნის მეორე და მესამე წერილებიც საკვე ბრძნულის სწავლა-დარიგებით.

მომაკვდინებელ ცოდვათა თავი ამპარტავნებაო, ამბობს ნიკოლოზ ორბელიანი. „ამპარტავნება ესე არს: რომელსაც თვისი ნათქვამი და ნაქმარი დიდად მოსწონდეს და დიდად დიდების მოყვარე იყოს და სწავლების მოთაკილე“.

ამ ამპარტავნებისაგან გამოვლენ:

1. უსჯულოება. 2. ურცხვინოება. 3. თვითრჩეულობა. 4. ქედმაღლობა. 5. მაჩვენებლობა. 6. ზესთმჩენობა. 7. ძალობა. 8. წვალება. 9 გმობა. 10. ზვაობა.

უკეთ ეს ახსნილია ცალკ-ცალკე და მერე:

„ხე ამპარტავნებლისა აღმოიფხვრების სიმდაბლით. სიმდაბლე ეს არის: კაცი კეთილს რომ იქმოდეს, გული არ აღიმაღლოს და თავი თვისი ყოვლის კაცისაგან უდარესად მიაჩნდეს“.

სიმდაბლისაგან გამოვლენ ესენი:

1. კრძალვა. 2. სულგრძელება. 3. მუდრეობა. 4. სიგლახაკე. 5. უპოვარება. 6. უნდოება. 7. სიმშვიდე. 8. უცხოება. 9. უშურობა. 10. შეურაცხება.

მეორე მომაკვდინებელი ცოდვა არის არა-წმინდება. ამისაგან გამოვლენ:

1. ნათესავთ აღრევა. 2. ტრიობა. 3. პირუტყვება. 4. სოდომური. 5. ძალადობა. 6. ბილწება. 7. სიჩვენე. 8. ღირწება. 9. მრუშება. 10. სიძვა.

ამათი მომკვლელი მადლი არის სიწმიდე, რომლისაგან გამოვლენ:

1. სინანული. 2. აღსარება. 3. მოდუწება. 4. სარწმუნოება. 5. სასოება. 6. სიმართლე. 7. უმანკოება. 8. სიწრფოება. 9. დუმილი. 10 სახიერება.

მესამე ცოდვა მომაკვდინებელი არის ნაყროვნება, რომლისაგან გამოვლენ:

---

მაგრამ არა, სურვილს ვერ აღწევენ... ბოლოს დაიღალნენ, მოიქანცნენ და გულდასავით დაბერილნი ძირს ჩამოცვივდნენ... საზოგადო საქმე-კი ისევ იქვე არის გაჩერებული და ბევრ ხანს ასე უძრავად დარჩებოდა, რომ ბ-ნ ჟორდინიასაგან დაწუნებული „დაღლილი“ მოღვაწეები (ილია, აკაკი, ნიკო და სხვა ბევრი) არ მოშველებოდნენ და „საზოგადო საქმე“ არ აემოძრავებინათ...

დღესაც ჰმოძრაობს ეს „საზოგადო საქმე“ დაწუნებულებისაგან ამოძრავებული. და თუ ის ჯერ კიდევ ტრიალებს (მართალია, არც ისე ჩქარა) მომეტებულად იმათის კურთხეულ მაჯის მეოხებით.

მართალია, იმათ „გამოერიათ ჭაღარა“, ცოტა სიმარდე-სიცხოველეც მოაკლდათ დრო-ჟამის გავლენით, მაგრამ ლომი ისე მოხუცდება, რომ თაგვმა აჯობოს?..

მაჩვენეთ, დამისახელეთ, ბ-ნო ჟორდანიავ, ხუმრობის გარეშე, ის, რომელსაც ილიამ დროშა დაუთმოს, აკაკიმ—ლირა და ნიკომ—პუბლიცისტური კალამი. თუ ვერ დაასახელებთ, მაშინ თქვენს გონებრივ და ზნეობრივ სილატაკეს დაამტკიცებთ, რადგანაც თქვენ ცილსა სწამებთ და „სულთათანა აღსრულებულისა“-ს უკალობებთ ისეთს კაცებს, რომლებიც ნიჭითა, ღვაწლითა და მხნეობით დღესაც ათჯერ უკეთესნი არიან თქვენზე და თქვენს „მოტრფიალებზედ“...

ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზედ მეტს იწველიდესო“?...

მთელს ქართველობას სჯერა და დარწმუნებულია, რომ „საზოგადო საქმე“ ჩვენში ჰმოძრაობს, რომ არიან მოღვაწენი, რომლების შრომამეცადინეობით, ნიჭითა და გამჭრიახობით სწარმოებს იგი; ყველამ იცის, რომ ჩვენ ყოველთვის გვყოლია და გვყავს დიმიტრი ყიფიანები, დიმიტრი ბაქრაძეები, ი. კერესელიძეები, ს. მესხები, ყაზბეგები, ილ. ჭავჭავაძეები, აკაკები, გ. წერეთლები, ვოლსკები, მაიაშვილები და სხვანი. მართალია ჯგუფი ასეთის მოღვაწეებისა და ნამდვილის მამულის შვილებისა ხან ჰმატულობდა, ხან კი კლებულობდა, მაგრამ საზოგადო საქმე მათს დროს არა ყოფილა მთლად მიგდებული უპატრონოდ; ის არას დროს არა ყოფილა მთლად დაცალიერებული. და თუ ეს თქვენ არ იცით, ბ-ნო პუბლიცისტო, ჩვენებურ, საზოგადოებრივის ცხოვრების უცოდინარობის მიზეზია. ჯერ ისწავლეთ, დააკვირდით და მერე გამოინავარდეთ „კვალის“ ფურცლებზედ! თორემ სიტყვების რახა-რუხით ვერას გახდებით და კიდევ ერთხელ დაამტკიცებთ „კვალისტებურ“ ყოყოჩობა-რიხიანობა-უსუსურობას... ეს კიდევ არაფერი იყოყოჩეთ რამდენიც გნებავთ, იბაქავეთ, მაგრამ თქვენი „mania grandiosa“ იქამდის ნუ მივა, რომ მთელი ქართველობა სულელად, ბრმად და განუვითარებლად ჩასთვალოთ. „ჩვენი საზოგადოება დაჩოქილია“ და ამისთვის პატივსა სცემენ „დაღლილებსა“-ო, ამბობთ თქვენ. ეს ხომ ცილის წამებაა, ბ-ნო ჟორდანიავ! ნუ თუ თქვენ და თქვენის დასტის გარდა საქართველოში ყველა დაჩოქილია, ყველა ბრმაა, ყველა გაუნათლებელია, ყველა უძლური და ჩამორჩენილია? ვეჳო, ეს ხომ ამპარტავნობა-რიხიანობის გერკულესის სვეტებია? ერთი მითხარით, რითი არ ჰგევხართ გოგოლის შეშლილს, რომელიც დარწმუნებული იყო, ისპანიის მეფე ვარო? ასეთის სენით შეპყრობილი შეშლილი შებრალების ღირსია, თქვენ-კი თქვენის რიხიანის ყოყოჩობით მხოლოდ სიცილს გამოიწვევთ. ღმერთმა ისე ნუ წაახდინოს საქართველო, რომ თქვენზედ უკეთესი არავინ გაჩნდეს! მაშინ ხომ წყალ-წაღებული იქნება ჩვენი საქმე. მე ამით იმის თქმა არა მსურს, რომ თქვენ მთლად უსარგებლო და მეტი ბარგი იყოთ..არა! თქვენისთანა „შუათანა“ განათლებული მოღვაწეებიც საჭიროა. იმათაც შეუძლიანთ ნაყოფის მოტანა, მხოლოდ ერთის პირობით-კი: იმას ნუ დაიჩემებენ, რის გაკეთებაც არ შეუძლიათ; ისეთ რამეს ნუ მოებღაუჭებიან, რის აწევის ძალ-ღონეც არ შესწევთ...

მაღალ ფარდებში რომ არ იწევდეთ, მეცნიერების ადეპტად თავს რომ არა სთვლიდეთ და რიხიანობა-განდიდების სენით არ იყოთ შეპყრობილი, თქვენც სასარგებლო იქნებით მამულისათვის, თქვენც ხელს შეუწყობთ ჩვენის ერის გონებრივად და ეკონომიურად წინსვლა-წარმატებას. ნუ დაგავიწყდებათ აფორიზმი: „всякой вещи свое мѣсто“. თქვენი ადგილი „შუათანა“ პუბლიცისტის სკამია. დაჯექით იქ, და სავარძლებისაკენ ნუ იწევთ... თქვენი ადგილი იქ არ არის. იქ ჩვენში, სასიხარულოდ, სხვა ჰზის და არ დაცლილა. კიდეც რომ დაიცალოს, დაბეჯითებით ვიტყვით, იქ თქვენ ვერ დაბრძანდებით...

ასეთია ზნეობრივი და პუბლიცისტური ფიზიანომია ბ-ნ ნოე ჟორდანიასი; ასეთია მისი ბაქიობა-ყოყოჩობა! ის ისეთ რამეებს სწერს და ექომაგება, რომ ყველა პატიოსან კაცისთვის სამარცხვინოა (მაგ. კალისტრატიზმს), მაგრამ იმას არა რცხვენიან, რადგანაც, როგორც თითონ ამბობს, „კაცს თავის აზრის არ უნდა გრცხვენოდეს, თავის მიმართულების არ უნდა გეშინოდეს. დეე, შენი აზრი, შენი რწმენა რა ნაირიც გინდ იმნაირი იყოს, დეე რაღაც შეუსაბამოს ქადაგებდე... განა სულ არარაობას, სულ გაჩუმებას ეს არა ჯობია“ (იხ. „კვალი“ № 39).

და აკი ამ დედა-აზრითა და ზნეობრივის კოდექსით ხელმძღვანელობსა და თუ ასეთი სპეტაკი და ანკარა! სათავე ჟორდანიას რწმენისა, ადვილად წარმოსადგენია, რა მღვრიე და აყროლებული იქნება მისი მიმდინარეობა! შეშლილმა ჰეროსტრატმა დასწვა ტაძარი დიანისა—ეს მისი რწმენა იყო. იეზუიტებმა კოცონზედ დასწვეს გალილეი და ბრუნო—ესეც იმათი რწმენა იყო, მაგრამ ნუ თუ თქვენის ლოგიკით ყველა რწმენა შესაწყნარებელი და გასამართლებელია?... *)

ვარ....

*) ბოლოს ვიხდი, რომ ეს ჩემი პასუხი დამიგვიანდა. ის ნომერი, რომელშიაც ჩემის წერილის პასუხი იყო დაბეჭდილი და ჟორდანია თხოულობდა პასუხს, მხოლოდ მარტში ჩამივარდა ხელში... ჯერ ეს იკმარეთ ბ. ჟორდანიავ. შემდეგში იმედი მაქვს ჩაგახედოთ კიდევ თქვენს სარკეში-

1. სიმთვრალე. 2. ცთომა. 3. აღმოგდება. 4. განცხრომა. 5. თოდრაგულობა. 6. შფოთება. 7. უთმინოება. 8. უძლებება. 9. გემოთმოყვარება. 10. ამბოხება.

ამათი ამომფხვრელი მადლი მარხვაა, რომლისაგან გამოვლენ:

1. მღვიძარება. 2. ცრემლი. 3. მგლოვარება. 4. სულთქმა. 5. შიმშილი. 6. წუწრკილი. 7. ხმელს წოლა. 8. ხმელის ჭამა. 9. ოხვრა. 10. კვნესა.

მეოთხე მომაკვდინებელი ცოდვა არის მცონარება, რომლისაგან გამოვლენ:

1. უდებება. 2. დაუსნილობა. 3. მოწყინება. 4. განკითხვა. 5. სიცბილი. 6. ცუნდრუკება. 7. ცრუ ფიცი. 8. მედგრობა. 9. უმეცრება. 10. სასოწარკვეთილება.

ამათი ამომფხვრელი მადლი სიმხნეა, რომლისაგან გამოვლენ:

1. ლოცვა. 2. დაუდეგება. 3. ფსალმუნება. 4. შრომა. 5. სწავლა. 6. მხურვალება. 7. მეცნიერება. 8. მოკუდინება. 9. მუხლთ-დრეკა. 10. ვედრება ღუთისა.

მეხუთე მომაკვდინებელი ცოდვა მრისხანებაა, რომლისაგან გამოვლენ:

1. სიმულილი. 2. გულისწყრომა. 3. გინება. 4. წყევლა. 5. შეურაცხება. 6. ლალვა. 7. უწესოება(?). 8. უმადლოება. 9. მანკიერება. 10. გულარძნილება.

ამათი მომკვლელი სიმშვიდეა, რომლისაგან გამოვლენ:

1. სიბრძნე. 2. გონიერება. 3. კაცთმოყვარეობა. 4. მოთმინება. 5. მორჩილება. 6. შიში ღუთისა. 7. სიმტკიცე. 8. მშვიდობა. 9. ქველის საქმე. 10. ღვთის მსახურება.

მეექვსე ცოდვა არის შური, რომლისაგან გამოვლენ:

1. ზაკვა. 2. მტერობა. 3. სივერაგე. 4. თვალდება. 5. კიცხვა. 6. ძვირის ხსენება. 7. შესმენა. 8. ქირდვა. 9. უწყალოება. 10. მწამლველობა.

ამათი მომკვლელი მადლი არის სიყვარული, რომლისაგან გამოვლენ:

1. სათნოება. 2. მიტევება. 3. სიტკბოება. 4. ლმობიერება. 5. წყალობა. 6. ძვირუხსენებლობა. 7. შენდობა. 8 ურისხველობა. 9. წურთა უგუნურთა. 10. დაფლვა მკვდართა.

მეშვიდე მომაკვდინებელი ცოდვა არის ჰანგარება, რომლისაგან გამოვლენ:

1. ვეცხლის-მოყვარება. 2. ღადრობა. 3. ცილისწამება. 4. ტაცება. 5. კაცის კვლა. 6. ძმაცვა. 7. ტყვის გასყიდვა. 8. ჰარვა. 9. მოხვეჭა. 10. კერპთ მსახურება.

ამათი მომკვლელი მადლი არის მოწყალება, რომლისაგან გამოვლენ:

1. მშიერთ ჭმევა. 2. მწყურვალთ სმევა. 3 ობოლთ ზრდა. 4. სნეულთ მოვლა 5. შიშველთ შემოსა. 6. პყრობილთ ნახვა. 7. უცხოთ შეწყნარება. 8. ტყვეთ ხსნა. 9. დავრდომილთ ურვა. 10. მტერთა და მოყვარეთათვის ლოცვა.

მაშასადამე, ამ წერილში განმარტებულია და სალექსიკონოდ ახსნილი 7 ცოდვა და 70 მისი კერძოობა და 7 მადლი და 70 მისი კერძოობა, ე. ი. სულ 154 სიტყვა.

წერილის ბოლოს ვკითხულობთ:

ესე შვიდნი ცოდვანი, მომკულელნი სულისანი, და შვიდნი წამალნი, მომკვლელნი მათნი—მძიმეთა მათ სენიანი, თბილელ მიტროპოლიტის ნიკოლაოზის ორბელიანის მიერ აღწერილი არის. რომელნი იხილვიდეთ, შენდობას უბრძანებდეთ.

ამ ნიკოლოზ ორბელიანის შესახებ ერთერთ წინა წერილში გვქონდა საუბარი.

მესამე წერილში ფრიად საყურადღებოა სწავლა, „თქმული ბოროტთა დედათათვის“.

არა რაი არს მსგავსი ქვეყანასა ზედა ბოროტისა დედაკაცისა და ენოვანისა, ხოლო არა რომელი მხეცი მსგავს არს დედაკაცისა ბოროტ ხელოვანისა...; უმჯობეს არს ყოფა ლომთა თანა გინა ვეშაპთა თანა უდაბნოსა შინა, ვიდრე ლა დედაკაცისა თანა ბოროტ ენოვანისა და მანქანისა...

...დედაკაცი უკეთუ არს გლახაკ, ყოველთა განიკითხავს, უკეთუ მდიდარ არს, არავის განიკითხავს...

მე ვიხილენ: ურჩნი ასპიტნი დაიმორჩილნეს, და ლომი და მარტორქა და დათვი დაიმორჩილეს და დამწყსეს, და დედაკაცი ბოროტი არა დამშვიდდეს. უმჯობეს არს ხარშვა რკინისა, ვიდრე ლა წურთა (წვრთნა) ბოროტისა დედაკაცისა.

უწყოდეთ ესე: რომელსა ესვას ცოლი ბოროტი, სასყიდელი ცოდვისა თვისისა მიუღიეს, რამეთუ დედაკაცი ბოროტი არასადა დამშვიდდების მკურნალთა განურისხდების და განუცოფდების, მშვიდთა აღუზღვავდების, რამეთუ არა უწყის დაცვად ჩვეულება სიყვარულისა.

გვ. 251: მღვთების ეკლესიას შემოგწირე წიგნი ესე—ს წ ა ვ ლ ა ნ ი—ანნამ, ბეჟან ერისთვის ასულმან. რისხვითა შენითა განურისხდი, ვინცა იძულებით ხელყოს და განიტაცოს შენის ტაძრიდამ.

ამას თავისივე ხელით სწერს ეს პატიოსანი ანნა, რომელიც, როგორც დავინახავთ კვლავაც, ფრიად წიგნის მოყვარე ადამიანი ყოფილა.

მ. ჯანაშვილი

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „სახალხო წიგნი“ № 11. ამ წიგნაკში მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“, წიგნი სუფთად არის გამოცემული და ჰღირს მხოლოდ 5 კაპ. წიგნის ყდაზედ ავტორის სურათია დახატული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აპრილი

**შანხაი.** ხანკოუს და გერმანელთა ახალშენს შორის რკინის გზის გაყვანის შესახები საქმე, ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ, გერმანელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

**კიევი.** ლოთობისა და ცუდი ყოფა-ქცევისათვის სემინარიიდგან გამორიცხულმა 17 წლის მოწაფე-კრესჩენსკიმ, თავისსავე სახლში, ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა სემინარიის ინსპექტორი ფილარეტი. კრეჩენსკიმ ხანჯალი ფერდში ჩასცა. დაჭრილი იმწამსვე ძირს დაეცა. ჭრილობა ძრიელ მძიმე აქვს, თუმცა-კი მორჩენის იმედი აქვთ.

**მადრიდი.** გაზეთი „რეფორმა“ საშინლათა ჰკიცხავს ბერებს. გაზეთი კითხულობს, ნუთუ ფილიპინების დაკარგვის შემდეგ ბერებს სურთ თავის სამშობლოც დაღუპონო.

**პარიჟი.** „ფიგაროში“ დაბეჭდილია ჩვენებანი ექსპერტ-პროფესორებისა. ზოგს უთქვამს, რომ დრეიფუსია დამნაშავეო, ზოგს-კი—არ არის დამნაშავეო.

„Cri de Paris“-ი ამტკიცებს, რომ ბ-ნი ბ., რომლის შესახებაც ულაპარაკნიათ კავენიაკსა და როჟეს, არის თავადი ბერგი, ავსტრიის აფიცრად ნამყოფი. ბერგი ამ ჟამად პარიჟში სცხოვრობს.

11 აპრილი

**არანზის სრუტე.** გუშინდელს საუზმეზედ ადმირალმა რაუზონმა სიტყვა წარმოსთქვა. რაუზონმა სთქვა, რომ ინგლისისა და იტალიის ესკადრა ერთად დიდ ძალას წარმოადგენენო. იმედი მაქვს, როგორც წინად იყო, შემდეგშიაც ორსავე ფლოტის დროშები მხარში ამოუდგებიან ერთმანეთს და ერთად აფრიალდებიან დროშებს მშვიდობიანობისა და კეთილ-დღეობის დასაცველადაო. არასოდეს ინგლისი არა ყოფილა ისეთის კეთილის გრძნობით აღსავსე იტალიის მიმართ, როგორც დღეს არისო. საპასუხო სიტყვაში მეფემ მიუგო, რომ ინგლისის სამეფო სახლი, ხალხი და არა ერთხელ და ორჯელ მოჰქცევია თანაგრძნობით იტალიის ერსაო.

**პარიჟი,** „ფიგაროში“ დაბეჭდილია ჩვენებანი მანოსი, ჰანოტოსი და მერსიესი. ჰანოტოს უამბნია ის, თუ მერსიემ როგორ შეატყობინა მინისტრებს ღალატის აღმოჩენა. მე წინააღმდეგი ვიყავ დრეიფუსის სამართალში მიცემისაო, უთქვამს ჰანოტოს.

**ბარცელონა.** პოლიციამ აღმოაჩინა კარლისტთა შეთქმულება. დაპატიმრებულ იქნა 5 კაცი.

**მადრიდი.** ესპანიის წარმომადგენელებად გააგის კონფერენციაზედ იქმნებიან ჰერცოგი ტეტუანისა და ვილლა-ურუტია.

**ალჟირი.** საღამომ მეტად შფოთიანად ჩაიარა. მანიფესტაციები მოსდა. დაპატიმრებულ იქმნა 20 კაცი. დააპატიმრეს აგრეთვე დრიუმონი, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს.

**პარიჟი.** „ჰავანის სააგენტო“ ხელ მეორედ აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ პარიჟში რამდენიმე კაცი შავის ჭირით გამხდარიყოს ავადაო.

**ვაშინგტონი.** როგორც მანილიდგან იუწყებიან, ამერიკელები დაზარალებულან ტაგალერთან შეტაკების დროს. მოკლულ იქმნა ერთი პოლკოვნიკი, ერთი პორუჩიკი და 5 ჯარის-კაცი. დაჭრილია 12 კაცი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, აგრეთვე ჩემის მოსწავლეების მხრივ ბ-ნს იორდანე სიხარულიძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ ჯვარცხმის სამრევლო სკოლას გამოუწერა ამ წლიდგან თავისის ხარჯით საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“, მით უმეტეს, რომ ასეთი გულკეთილობა ჩვენის სკოლისათვის ბ-ნ იორდანე სიხარულიძის მხრივ პირველი არ არის.

ჯვარცხმის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სარდიონ მგალობლიშვილი.

## განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (Дворц. ул. д. т. д. № 101) ისყიდება

### იაფად

სადღესასწაულოდ ბავშვებისათვის საჩუქრად გრ. ტატიშვილის მიერ გამოცემული საყმაწვილო სურათებიანი წიგნები:

1, ხუმარა სპილოები . 10 კ.
2, გედები . . . . 10 კ.
3, კეთილი ძაღლი. . 10 კ.

იქვე იყიდება კანვაზედ საკერი ანბანი 40 კაპ. და ჩართული (გლადით, საკერი) ანბანი 1 მ. (—ნ.—1)

## საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (პაზკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირად სტყუვდება.

ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

### არ. ივ. ალიხანოვის
### საკანდიტეროში

ვორონცოვის ძეგლთან

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები».

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოსია, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება.

პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი

(3—63—1)

1899

## „მოამბე“
### თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის ვრცელის პროგრამის საკსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრედვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „Моамбе“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში. (20—6.—11)

რადგანაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აზრადა აქვს დაჰბეჭდოს

### კრებული პუშკინის ქართულად ნათარგმნ ნაწერებისა

მისის საიუბილეო დღესასწაულისათვის, ამიტომ იგი გამგეობა უმორჩილესად სთხოვს იმათ, ვისაც გადათარგმნილი აქვს რომელიმე ნაწერი რუსთა გამოჩენილის პოეტისა, ლექსი ანუ პროზა, გამოუგზავნოს გამგეობას ეგ თარგმანი კრებულში დასაბეჭდად. თუ უკვე დაბეჭდილია სადმე ამისთანა ნათარგმნი, აცნობოს გამგეობას, სახელდობრ, სად, რომელს ჟურნალსა ანუ გაზეთში, და როდის არის დაბეჭდილი. უფრო უკეთესი იქმნება, თუ მთარგმნელი თვით დაბეჭდილს გამოუგზავნის გამგეობას. ადრესი: Тифлисъ. Въ канцелярію общества грамотности. (5—4)